სახელმწიფო შესყიდვებისათვის მოსამზადებელი დოკუმენტაციის, პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების საკონკურსო კომისიის სხდომიოს ოქმი

ოქმი N 5

დ.მესტია 07/05/2013წ

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

- *კომისიის თავმჯდომარე:*

  - *გოჩა ხორგუანი* – მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარე;

- კომისიის წევრები:

  - *კაპიტონ ჟორჟოლიანი*– მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
  - *ვახტანგ ნაკანი* – მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
  - *მაიზერ ჯაფარიძე* – მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე;
  - *თემურ ნავერიანი* – მესტიის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის უფროსი;

- *კომისიის აპარატის წევრები:*

  - *მარიამ ნაკანი* - მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესყიდვების განყოფილების უფროსი;

დღის წესრიგი:

მესტიის მუნიციპალიტეტის მიერ 2013 წლის 2 მაისს გამოცხადებული N758 კონკურსი.

**დ. მესტიაში, ლანჩვალის უბანში „ხანდაკის“ გზის რეაბილიტაციის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის** “–ზე კონკურსანტის ი/მ „ნესტორ ფირცხელანი“–ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა/შეფასება.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის წევრები გაეცნენ კონკურსანტის ი/მ „ნესტორ ფირცხელანი“–ს მიერ წარმოდგენილ საკონკურსო წინადადებას.

განხილვის შედეგად აღმოჩნდა,რომ კონკურსანტის ი/მ „ნესტორ ფირცხელანი“–ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება,საგადასახადო დავალება და თანდართული დოკუმენტაცია სრულად შეესაბამება საკონკურსო განცხადებაში მოთხოვნილ პირობებს და „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანების მე–6 მუხლით“ განსაზღვრულ მონაცემებს. პრეტენდენტმა წარმოადგინა საკონკურსო წინადადება 3700 ლარით. ვაჭრობის შედეგად დაბიქსირდა საბოლოო ფასი 3350 ლარი.

კომისიამ დაადგინა:

კომისიამ დაადგინა,რომ ი/მ „ნესტორ ფირცხელანი“ გამოვლინდეს გამარჯვებულად N758 კონკურსში თანხით 3350 ლარი, გაფორმდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით ხელშეკრულება ,ხოლო ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 კალენდრულ დღეში კონკურსანტმა, უნდა წარმოადგინოს დასრულებული საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რის შემდგომაც გაფორმდება მიღება–ჩაბარების აქტი.

კომისიის თავმჯდომარე: [signature] გ.ხორგუანი

კომისიის წევრები: [signature] კ.ჟორჟოლიანი

ვ.ნაკანი

მ.ჯაფარიძე

თ.ნავერიანი

კომისიის აპარატის წევრები: მ.ნაკანი